№ 2690
კვირა,
5 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2690
კვირა,
5 დეკემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დაბაზებ[ულ]ი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორაში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

რადგან ღამის დეპეშები გვიან მოდის, ამიტომ ცალკე ფურცელზე ვბეჭდავთ, რომელიც ამავე გაზეთთანვე ეგზავნებათ მკითხველებს.

მელანია თადეოზის ასული ნაცვლიშვილისა, დანი ელისაბედ დავითის ასული ნატროშვილისა, ალექსანდრა დავითის ასული ნაცვლიშვილისა, ბარბარე დავითის ასული კნ. გაჩნაძისა, ანასტასია და მარიამ დავითის ასულნი ნაცვლიშვილისანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძვირფასის მეუღლისა და მეორენი საყვარელის ერთად-ერთის ძმისას

თადეოზ დავითის ძის ნაცვლიშვილისას

გამოსვენება და დაკრძალვა სამშაბათს, 7 დეკემბერს, ქიზიყის სოფელ მაღაროს საკუთარ კარის ეკლესიაში. (1—1)

ქართული წარმოდგენა. ვიტცელის თეატრში
კვირას, 5 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პ ა ტ ა რ ა   კ ა ხ ი
დრამა 5 მოქ. თავ. ა. წერეთლისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ლეჟავა, ნებიერიძე; ბ-ნნი სვიმონიძე, ივანიძე, შალიკაშვილი, სარჯველაძე, მატარაძე, ჩარკვიანი, წუწუნავა, საფაროვი, იორდანაშვილი.
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგი რეჟისორი: მ. აბაშიძე.

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტების რიცხვში)
ოთხშაბათს, 8 დეკემბერს, 1904 წ. ქართულ დრამატიულის დასის მიერ, წარმოდგენილი იქნება
◆ ვალერიან გუნიას საბენეფისოდ პირველად ორი ახალი პიესა ◆
პირველი ორიგინალური პიესა
ნ ა ო ხ ა რ ზ ე
ანუ
(ჩვენებური კეთილობანა)
თანამედროვე სურათები 3 მოქმედ. ვალერ. გუნიასი.
მეორე ნათარგმნი პიესა
ახირებული შემთხვევა
ანუ
(ძალად გაგიჟებული)
მხიარული კომ. 2 მოქ. მაქს. გორკისა, თარ. ვ. გუნიას-მიერ.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო, აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ო. ლეჟავა, ნ. ნებიერიძე, ნ. ჯავახოვი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, ი. სარჯველაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
ლოჟები 2 მან. 50 კ-დან 10 მანეთამდე, პარტერი 60 კაპეიკიდან 3 მან. გალერეა 30 კაპ. 40 კ. აბონემენტს და საწევრო სეზონის ბილეთებს ძალა აქვთ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. პიესებს დასდგამს მობენეფისე მ. გუნია.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
კვირას, 5 დეკემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ფ ა უ ს ტ ი“ ოპერა 6 მოქ. გუნოსი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: პაპაიანი, ბუნაკოვა, ხარიტონოვა, ფერარი; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, პოლუიანოვი, სპერანსკი, ჩალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
6 დეკემ —„ნერონი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
ექიმები:
ა. ი. ბაღდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ფ. ზუბინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მორინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველდღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ექ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ და პარასკეობით 1—2 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
გ. მ. ხოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ხ. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟევსკის ქუჩა, (კუკის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხეილოვის ქ., № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ე ქ ი მ ი
ი. ე. ზამბურბერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—18)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. თ ე თ რ ა ძ ე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (87—636—17)

ე ქ ი მ ი
გ. ა. გ ე დ ა ლ ი ნ ი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის და ნერვებისა. ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე.
გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. (30—5)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქ ა ნ დ ე ლ ა კ ი
იღებს ყოველგვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდაზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—6)

კბილის ექიმი
ელ. რ ო მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—36)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—17)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი დაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ე ქ ი მ ი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—27.

სამხედრო საისტორიო მუზეუმი
სურათების გამოფენა
კავკასიის მხატვრობის მფარველ საზოგადოებისა. შესვლის ფასი 30 კაპ. კატალოგით. ბავშვებისა და სალდათებისთვის 15 კ. (4—396—2)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 დეკემბერი

მუკდენი, 2 დეკემბერი (საკ. კორ.). ხმებია, იმ დღეებში სადგურ გაუბანძიზე იაპონელებისაგან გაგზავნილმა ხუნხუზებმა გამოათრიეს ვაგონიდან ერთი ჩინელი, რომელიც რუსებს ემსახურებოდა, სოფელში წაიყვანეს და მოჰკლეს.—პოზიციებზე სიწყნარეა.—რუსული ქაღალდის ფულის, მანეთის, ფასის დაწევა დროებითია და იმით აიხსნება, რომ მანჯურიაში არ შემოაქვთ და არ გააქვთ საქონელი. ფასის დაწევის მიზეზი, სხვათა შორის, სპეკულიაციაც იყო. ფასის დაწევა დიდხანს ვერ გასტანს, რადგან ვაჭრებს რუსის ქაღალდის ფული აქვთ.

კამიშლოვი. 3 დეკემბერს კიტაის სასოფლო კრილობამ გადასდო 200 მანეთი პორტ-არტურის დამცველთა სასარგებლოდ.

ჩიფუ, 3 დეკემბერი („რეიტერი“). დღეს ჩიფუს მოვიდა პორტ-არტურიდან იალქნიან გემით 7 რუსი არა სამხედრო ტანისამოსით, თუმცა ის გარემოება, რომ ისინი გაჩუმებულნი არიან და მიხვრა-მოხვრაში გაწვრთნილობა ეტყობათ, ამტკიცებს, რომ მხედრობას ეკუთვნიან. ამ რუსებმა დეპეშები მოიტანეს და დაუყოვნებლივ რუსის საკონსულოში წავიდნენ. ძლიერი ქარის მიზეზით რუსები ადრე მოვიდნენ ზღვით ჩიფუს.

ხარბინი. მოვიდა მესამე არმიის უფროსი.

დაძიაპუ, 2 დეკემბერი (საკუთ. კორ.). გუშინ კასპიის პოლკის მოხალისეებსა და იაპონელთა დარაჯებს შორის სროლა იყო, რომლის დროს ერთი არაჩვეულებრივი მოვლენა მოხდა: როცა იაპონელთა ტყვიები მიწაზე ეცემოდნენ, ტალანი გაჰქონდათ და შუქი გამოხდათ, ერთ მოხალისეს ტყვიამ ხელში გაურა და 1½ ვერშოკის სიგანე ნახვრეტი დასტოვა, ამიტომ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იაპონელები ეხლა მფეთქავ ტყვიებს ხმარობენ.

მოსკოვი, 3 დეკემბერი. ქალაქის რწმუნებულმა გუჩკოვმა წინადადებით მიმართა ქალაქს, საავადმყოფოს გამართვის მაგიერ ხარბინში, სადაც ყველა კარგი შენობა წითელი ჯვრისა და სამხედრო საავადმყოფოებს უჭირავს, ვიკისროთ იმ საავადმყოფოს შენახვა, რომელსაც ხარბინის საევაკუაციო პუნქტზე აშენებენო. შენობა მალე დასრულდება. 5 დიდი ბარაკი იქნება და ერთი მომცრო. ამ პუნქტის ახლოს 11 ლიანდაგია სასანიტარო ვაგონებისათვის. გუჩკოვის აზრით, საავადმყოფოსთან უნდა მოეწყონ აგრეთვე ჭრილობის შესახვევი და დაჭრილთა საკვები ადგილები იმ შემთხვევისათვის, როცა დაჭრილებს მრავლად გაგზავნიან; უნდა გამართონ აგრეთვე თბილი ტანისამოსისა და საცვლების საწყობები.

ტოკიო, 3 დეკემბერი („ვოლფი“). ხმებია, გემებმა „კორეა“-მ და „კანაგავუმარუ“-მ წყალ-ქვეშ მავალი ნავები მოიტანეს, რომელთაც იოკოსუკაში სცდიანო. ეს ნავები, ალბად, სამ ადგილას იქნებიან გაგზავნილნი, სხვათა შორის, ფორმოზასთან და ხაკოდატესთან.—საბიუჯეტო კომისიამ ერთხმად გადასწყვიტა გადასდოს მთავრობისაგან ნათხოვნი 700 მილიონი იენი სამხედრო საჭიროებისათვის.

დაკარი, 3 დეკემბერი („რეიტერი“). „ლოიდი“-ს ცნობით, „ურალ“-ი წავიდა აქედან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
3 დეკემბერი

მუკდენი, 2 დეკემბერი. გუშინ იაპონელებმა სუსტად დაუშინეს ყუმბარები რუსის პოზიციებს რკინის გზის ახლოს. იაპონელი ჯარის-კაცები ისევ იცმენ რუსის სალდათების ტანისამოსს. ამ დღეებში ჩვენი დარაჯები ხელში ჩაიგდეს იაპონელებმა, რომელთაც რუსის სანიტარების ფორმა ეცვათ და საკაცე ჰქონდათ.

ჩიფუ, 3 დეკემბერი. მოვიდა იალქნიანი ნავი, რომელიც გუშინ გამოვიდა პორტ-არტურიდან.

ხუანშანი, 2 დეკემბერი. 30 ნოემბერს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს სოფელს. 29 ნოემბერს ღამე მოხალისეებს შეტაკება ჰქონდათ იაპონელებთან ვანიაპუზასთან. 30 ნოემბერს სამლოცველოს გორის სამხრეთით გამოჩნდა იაპონელთა ბატალიონი, რომელსაც რუსის არტილერიამ რამდენიმე ყუმბარა ესროლა. ამის შემდეგ იაპონელები წავიდნენ.

ჩანსიამუტუნი, 2 დეკემბერი. დღეს, დილის 11 საათიდან საღამომდის ზარბაზნების გრიალი იყო პუტილოვის გორის მიდამოებში. რუსებმა მძიმე ზარბაზნები დაუშინეს იაპონელთა პოზიციებს. დედამიწა შეინძრა 15 ვერსის მანძილზე ზარბაზნების სროლისაგან.

პეტერბურგი, 3 დეკემბერი. ხვალ პარიზს მიდიან ჰულის შემთხვევის გამომძიებელ კომისიის წევრები. კომისია მომავალ კვირაში შეუდგება მუშაობას.

ხაჩეტუნი, 3 დეკემბერი. მეორე არმიაში ცვლილება არ მომხდარა. ყოველ დღე სუსტი ზარბაზნების სროლაა. გენერალი გრიპენბერგი ათვალიერებს ჯარებს და ამხნევებს მომავალ საგმირო მოღვაწეობისათვის. გენერალმა შემდეგის სიტყვებით მიმართა მე-54 დივიზიის პოლკებს: „დარწმუნებული ვარ, ძმებო, რომ მტერს არ დანებდებით. იცოდეთ, რომ უკან დაწევა არ იქნება. მოჰკალით ის, ვინც თავის პოზიციას დასტოვებს, მომკალით მე, თუ უკან დაწევას გიბრძანებთ“. მოწინავე პოზიციებზე ჯარი მხნედ და მხიარულადაა და მტერთან ხელ-ახლად შებრძოლება სურს.

(ღამის დეპეშები იხილე ცალკე ფურცელზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტური. ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ უცხოეთის გაზეთებს: გენ. ნოგის არმიიდან ცნობა მოვიდა „სევასტოპოლი“ და „ბაიანი“ ძლიერ დააზიანა ჩვენმა არტილერიამაო.

გენ. ნოგის არტილერიის უფროსი 25 ნოემბერს იუწყებოდა: დღეს, ნაშუადღევს 12½ საათზე ნამდვილად გავიგეთ, რომ „პერესვეტი“ ჩაძირულა, „პოლტავა“-ც ჩაძირულია, „პალადა“ მარცხენა მხარეს იხრება თან-და-თან. ამ წამს უმთავრესად „პალადა“-ს ვუშენთ ზარბაზნებს.

იმავე დღეს არტილერიის უფროსი დამატებით იუწყებოდა: „პობედა“-ს შუა საკვამლე დანგრეული აქვს, ძლიერ დაზიანებულია და იძირება, წყალი ზემო პალუბამდე სწვდება. „რეტვიზან“-მა ბოლო დაუშო; წყალმა გემის ზემო პალუბა თითქმის გაავსო. „პალადა“ „რეტვიზან“-სა და სანაღმე ტრანსპორტ „ამურ“-ის შუა დგას, ამიტომ კარგად არა სჩანს, მაგრამ მაინც დავინახეთ, რომ ცოტათი ბოლო აქვს დაშვებული. ეგაა ნამდვილად ვერ გავიგეთ, რამდენადაა დაზიანებული. „ბაიან“-ს ამ წამს ცეცხლი ეკიდება. დღეს უმთავრესად „პალადა“-სა, „ბაიან“-სა და „სევასტოპოლ“-ს ვუშენდით ზარბაზნებს.

იმავე დღისით საღამოთი არტილერიის უფროსი იუწყებოდა: „პალადა“-ს ცეცხლი ეკიდება, კრეისერი მარცხენა მხარეს გადაიხარა. „გილიაკ“-ს 11 ყუმბარა მოჰხვდა. 11½ საათზე „ბაიან“-ს ცეცხლი წაეკიდა, ნაშუადღევის 4½ საათზე ცეცხლი ჯერ ჩამქრალი არ იყო. სანაღმე ტრანსპორტს „ამურ“-ს 14 ყუმბარას მოჰხვდა. ბევრი ყუმბარა საწყობებს მოჰხვდა პაიუნიშანს ახლო, არსენალსაც ჰხვდებოდა ხოლმე ყუმბარა“. („ნ. დ.“).

„ნოიე ფრაიე პრეს“-ს სამხედრო მიმოხილველი სწერს: იაპონელებმა მეტად მაღლა დადგეს საალყე ზარბაზნები 203 მეტრიან გორაზე. რუსის ფორტები ამ გორაზე დადგმულ ზარბაზნებს ვერას დააკლებენ და ვერ გააჩუმებენ. გენ. ნოგი უმთავრესად რუსის ესკადრის განადგურებას ცდილობს, რომ ესკადრა ზღვაში ველარ გავიდეს და ბალტიის ესკადრას ვერ შეუერთდესო. („ნ.“).

პორტ-არტურის სიმაგრეები. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმოხილველი ბ. ს. კ. დაწვრილებით აწერს პორტ-არტურის სიმაგრეებს. ბ. ს. კ. სწერს: „უცხოეთის პრესაში მხოლოდ ამ ბოლოს დროს დაიბეჭდა პორტ-არტურის დაწვრილებითი აღწერა და იმისი პლანები და კარტები. უცნაურია, რომ რუსეთის სამხედრო უწყება დღემდის საჭიროდ არა სთვლის რუსის საზოგადოებას პორტ-არტურის პლანი გააცნოს, თუმცა ამ ციხის ბედი ეხლა ყველას აღელვებს. რასაკვირველია, სიმაგრეების დაწვრილებითი პლანები ყველა ფორტითა და ბატარეით სამხედრო საიდუმლოებას შეადგენენ. მაგრამ პორტ-არტურის საზოგადო პლანი, სადაც სწორედ იქნება აღნიშნული პორტ-არტურის მდებარეობა, ფორტები და ბატარეები, ეხლა, რასაკვირველია, საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს და ასეთის პლანიდან გენ. ნოგის შტაბი ვერაფერს ახალს ვერ მოიგებდა. სასაცილო იქნება სწორედ, რომ ვინმე იფიქროს, იაპონელებმა ეხლაც არ იციან პორტ-არტურის ფორტების მდებარეობაო, მით უმეტეს რომ ეხლა 203 მეტრიან გორიდან მთელი პორტ-არტური იმათ თვალ-წინ, როგორც ხელის გულზე, ისეა გადაშლილი... ასეა თუ ისე, საზღვარ-გარედ გამოცემულ პლანებსა და კარტებს უნდა დავჯერდეთ. „რუსკია ვედომოსტ-“ში დაბეჭდილ პორტ-არტურის კარტისა და პლანის შედგენის დროს უმთავრესად სამის წყაროთი ვსარგებლობდით: „ტაიმს“-ში დაბეჭდილი კარტა, პლანი და აღწერა,—ეს პლანი და აღწერა იაპონურ ცნობებსა და „ტაიმს“-ის კორესპონდენტის საკუთარ აღწერაზეა დამყარებული; „ნოიე ფრაიე ფრესე“-ს კარტა და აღწერა, ესეც იაპონურ ცნობებზეა დაფუძნებული; „ეკო და პარი“-ს კარტა, ჩვენთვის უცნობ რუსულ წყაროების თანახმად შედგენილი. ამას გარდა საფრანგეთის მთავარ შტაბისაგან გამოცემული პორტ-არტურის მიდამოების კარტითაც ვსარგებლობდით; ეს კარტა რუსეთის მთავარ შტაბის კარტისა და ინგლისურ საზღვაო კარტების თანახმადაა შედგენილი; ეგაა ამ კარტაზე სიმაგრეების მდებარეობა არაა ნაჩვენები.

პორტ-არტურის ბუხტას სამის მხრიდან მაღალი, ფრიალო, კლდიანი გორები აკრავს, ამ გორების ქედზე მრისხანე ფორტებია გამართული; მომეტებულ ნაწილად ფორტები პიტალო სალ კლდეებშია ამოჭრილი; გარშემო ღრმა, განიერი და შესანიშნავად გამაგრებული თხრილები აქვთ შემოვლებული; მეციხოვნე ჯარის სადგომი და კაზემატებიც კლდეებშია გამოქვაბული და წინ ისეთი მშვენიერი საფრები აქვთ, რომ მტრის ყუმბარა ბევრს ვერას აკლებს. საზოგადოდ, „ტაიმს“-ის კორესპონდენტის აზრით, პორტ-არტური უფრო მრისხანე ციხეა, ვიდრე გიბრალტარი. პორტ-არტურის სიმაგრეებს ხმელეთის მხრიდან ერთი ღრმა ხეობა (სიგანით 1—1½ ვერსტი) ორ ნაწილად ჰყოფს: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილად. ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. ლუნხე ჩამოდის და რკინის გზაა გაყვანილი, სამხრეთ ნაწილში პორტ-არტურის ბუხტიდან წყალი შედის. აღმოსავლეთ ნაწილის ფორტები ვეშაპის ქედზეა გამართული და ესენიც ორ დარგად იყოფა: სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის დარგად. სამხრეთ-აღმოსავლეთის დარგი ვეშაპის ქედის ნაწილზე მდებარეობს, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიდის, სოფ. ვანძიატუნს ახლო მდებარე ვიწრო ხეობიდან ვიდრე ზღვამდე და 4 ვერსტი სიგძე აქვს. ამ პატარა მანძილზე 4 ფორტი ანუ, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, 4 ჯგუფი ფორტისა აშენებული. იაპონელები ამ ფორტებს შემდეგ სახელებს ეძახიან: 1. მაძიატუნის ჯგუფი (1 ფორტი და 1 ბატარეია); 2. აღმოსავლეთ პეიუშანის ჯგუფი (ორი ფორტი); 3. პეილუშანის ჯგუფი (2 ფორტი და 1 ბატარეა) და 4. სამხრეთ კინკიშანის ჯგუფი (3 ფორტი და 1 ბატარეია). პირველ (სამხრეთ-აღმოსავლეთ) დარგში სულ მცირედ 8 ფორტი და 2 ბატარეიაა. ვანძიატუნის ხეობიდან რკინის გზამდე ვეშაპის ქედზე გაყოლებულია ფორტების მეორე, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი დარგი. ეს დარგიც 4 ჯგუფ ფორტისაგან შესდგება. იაპონელები ამ ფორტებს შემდეგ სახელებს ეძახიან: 1. ჩრდილოეთი კინკიშანი (2 ფორტი და 1 ბატარეია); 2. კიკვანშანი (4 ფორტი, ამათგან განაპირა ჩრდილოეთ ფორტს ტუნგკიკვანშანი ჰქვიან); 3. ერლუნშანი (2 ფორტი, დასავლეთი და აღმოსავლეთი,

და 2 ბატარეია) და 4. სუნშუშანის (2 ფორტი და 1 ბატარეია). უმთავრეს ფორტების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ დარგში სულ მცირედ 10 ფორტი და 4 ბატარეია, და ციხის აღმოსავლეთ ნაწილში სულ 18 ფორტი და 6 ბატარეაა. აქ ფორტების წინ ვეშაპის ქედის მისავალში დადგმული რედუტები და ბატარეები არაა ნაანგარიშევი. აღმოსავლეთი ნაწილი გენერალ-ლეიტენანტ ფოკს აბარია. „ნოიე ფრაიე პრესე"-ს თუ დავუჯერებთ, ეს ნაწილი სხვებზე ძლიერაა გამაგრებული და ყველაზე დიდი ზარბაზნებიც (11 და 12-დიუმიანი) აქ აწყვია.

დასავლეთი ფორტები გაცილებით გვიანაა აშენებული აღმოსავლეთის ფორტებზე. ეს ნაწილიც ორ დარგად იყოფა: ჩრდილოეთ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის დარგად. ჩრდილოეთ-დასავლეთი დარგი ნოემბრის ნახევარში იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. ამ დარგის ფორტები და ბატარეები სტოლის („სტოლოვაია") გორებზეა გაყოლებული 5 ვერსტის მანძილზე მდინარე ლუნხედან ტაიანკოუს ფორტს ახლო ხეობამდე, სადაც გზა მიდის მტრედის ბუხტიდან პორტ-არტურამდე. ამ დარგის სიმაგრეებიდან ცნობილია: 1. „ვისოკაია" (მაღალი) გორა (სტოლის ქედის აღმოსავლეთ მხარეს) განაპირასაა, სიმაღლით 174 მეტრი; 2. „დლინნაია" (გძელი) გორა; ამ გორას ორი ზურგი აქვს და ორ კუზიან აქლემსა ჰგავს, ორსავე ზურგზე თითო-თითო ფორტია აშენებული; 3. უსახელო 203 მეტრიანი გორა; სტოლის გორებში ყველაზე მაღალია; აქ, როგორც „ტაიმს"-ის პლანიდანა სჩანს, ორი ფორტი იყო აშენებული; 4. 203 მეტრიან გორიდან ნახევარ ვერსტის მანძილზე სამხრეთით წითელი გორა (ოკაზამა) მდებარეობს; ამ გორაზე სამი ბატარეია იდგა.

ციხის დასავლეთ ნაწილის სამხრეთ-დასავლეთი დარგის ჩრდილოეთ მხარეს, თავში, თითქმის ზღვის პირად ტაინგკოუს დიდი ფორტი მდებარეობს. ამ ფორტის სამხრეთ-დასავლეთით უდიანშაშინის გორაზე უფრო ნაკლები ფორტია აშენებული; ტაიანკოუს სამხრეთით ზღვის პირად გორებზე 4 ვერსტის მანძილზე ვეფხვის ნახევარ-კუნძულამდე პატარ-პატარა ბატარეებია დადგმული; ტაიანგოუდან ერთის ვერსტის მანძილზე დასავლეთისაკენ კიდევ ერთი პატარა ფორტი მდებარეობს; ეს ფორტები და ბატარეები პორტ-არტურს მტრედის ბუხტის მხრიდან იცავენ. სამხრეთისაკენ, ზღვის პირად პორტ-არტურის სიმაგრეების ზოლში თეთრის მგლის გორაზეც ფორტია გაშენებული. სამხრეთ-დასავლეთ დარგს სულ 5 ვერსტი სიგძე აქვს და ციხის დასავლეთ ნაწილში სულ 9 ფორტი და 11 ბატარეიაა.

ბუხტა და მდ. ლუნხეს ხეობა ორ ნაწილად, თითქმის ორ დამოუკიდებელ ციხედ ჰყოფდა პორტ-არტურის სიმაგრეებს, მაგრამ 1903 წელს გენ. კუროპატკინმა დაათვალიერა ციხე და ორსავ ნაწილს შუა ბევრი ახალი სიმაგრე ააშენებინა და ამით ორივე ნაწილი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. ეს ახალი სიმაგრეები რკინის გზისა და დლინნაია (გძელ) გორის შუა მდებარეობენ და მეხუთე დარგად უნდა ჩაითვალოს. ამ დარგის განაპირას ჩრდილოეთ მხარეს „დივიზიონნაია" გორა მდებარეობს, შუშიინიდან ერთ ვერსტზე სამხრეთით; აქ სამი რედუტი იყო აშენებული,—„კუმირნენსკი" (დასავლეთ მხარეს), კუროპატკინისა (შუაში), წყლის მილისა (აღმოსავლეთით) და 1 ლიუნეტი „დივიზიონნაია" გორის კალთებზე, სამხრეთ მხარეს. მარცხნივ, „დივიზიონნაია" და „დლინნაია" გორებს შუა პანლუნშანის გორები მდებარეობენ; ამ გორებზეც ორი ფორტია აშენებული. „დივიზიონნაია" გორის სამხრეთით „ნიზკაია" გორა მდებარეობს, აქაც ერთი ლიუნეტია გამართული; „ნიზკაია" გორასა და ჯარის სათამაშო პლაც-პარადს შუა, სუნშუშანისა და ვანგტაის ფორტების წინ, კიდევ ორი ლიუნეტია აშენებული; სულ მეხუთე დარგში 9 ფორტი იქნება. ავგისტოსა და სექტემბერში ეს დარგი იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. პორტ-არტურის სიმაგრეები 20 ვერსის სიგრძეზეა აშენებული და ამ მანძილზე სულ მცირედ 53 სიმაგრეა (ფორტები, რედუტები, ლიუნეტები და ბატარეები).

ამ უმთავრესს სიმაგრეებს უკან კიდევ მეორე რიგი სიმაგრეა გამართული. სამწუხაროდ, მეტად მცირე ცნობა გვაქვს ამ მეორე რიგის სიმაგრეებზე. ეს რიგიც ორ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთისა და დასავლეთის ნაწილად. პორტ-არტურის ბუხტის ჩრდილოეთ ნაპირს მთის ქედი აკრავს რკალივით და დასავლეთ ნაწილის სიმაგრეებიც სულ ამ ქედზეა აშენებული. ამ ქედს 130 მეტრი სიმაღლე აქვს; დასავლეთისა და სამხრეთისაკენ ფრიალო ფერდობები აქვს, ჩრდილოეთისაკენ კი უფრო ვაკეა. ქედის ჩრდილოეთ მხარეს ანძეშანის ფორტების ჯგუფი მდებარეობს. ანძეშანის დასავლეთით იძიშანის ფორტების ჯგუფია აშენებული. ამ ორ ჯგუფ ფორტებს უკან, ბუხტისაკენ ვანგტაის ფორტების ჯგუფია გამართული; ვანგტაის გარე ფორტი ვაკე ადგილასაა აშენებული და დასავლეთისაკენ პლაც-პარადს დასცქერის. დასავლეთ სიმაგრეების მეორე რიგს 4 ვერსტი სიგრძე აქვს; აქ სულ ექვსი ფორტი და 2 ბატარეიაა აშენებული. აღმოსავლეთ სიმაგრეების მეორე რიგი, რამდენადაც ვიცით, გაცილებით სუსტია დასავლეთ სიმაგრეებზე და უმთავრესად მწყრის („პერეპელინაია") და არწივის („ორლინაია") გორებზე მდებარე პოზიციებისაგან შესდგება. მწყრის გორა ვანგტაის პირდაპირ, ბუხტის ჩრდილოეთ ტოტის ნაპირად მდებარეობს; აქ ერთი ფორტია აშენებული. არწივის გორაზეც, როგორც „ტაიმს"-ის პლანიდანა სჩანს, საშუალო ყალიბის ზარბაზნების ბატარეებია დადგმული. ჩიფუდან იუწყებოდნენ, რუსის მეციხოვნე ჯარი ბოლოს დროს მწყრის გორისა და არწივის გორის შუა სანგრებსა და ტრანშეებს აშენებდათ, ეგაა ნამდვილად არ ვიცით, რა სიმაგრეები ააშენეს აქა. ასე რომ პორტ-არტურის სიმაგრეების მეორე რიგში 7 ფორტი და 4 ბატარეიაა. პორტ-არტურს ხმელეთიდან სულ მცირედ 64 სხვა და სხვა სიმაგრე იცავს. (გაგრძელება იქნება).

ახალი ამბავი

◆ პარასკევს, 3 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი მ. ი. მალამა სადარბაზოდ იყო ტფილისის მოურავის მოადგილეს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილთან, ბინაზე.

◆ **ქართულ საღამოს** მოსკოვში, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, ძალიან კარგად ჩაუვლია. საღამო გამართა თავადმა ალექსანდრე სუმბათაშვილმა. დარბაზები „კეთილშობილთა საკრებულოსი", სადაც საღამო გაიმართა, მშვენივრად ყოფილა მორთული. მონაწილეობა მიუღია მრავალ მომღერალს. ხოროს უმღერია ქართული სიმღერები. უთამაშნიათ ლეკური. ხალხი დიდ-ძალი დასწრებია.

◆ 3 დეკემბერს, საღამოს 9 საათზე, პოლიციის მე-3 ნაწილში **მოჰკლეს უბნის ზედამხედველი** („ოკოლოდოჩნი ნადზირატელი") **იასაკ ტერ-სააკოვი.** ტერ-საკოვი რაღაც საქმისათვის პოლიციის მე-3 ნაწილში ყოფილა. იქიდან დაბრუნებულა და პატარა ვანქის ქუჩით მომავალი შესახვევში შეჰფეთებია ვიღაც უცნობ კაცს. უცნობს საკოვისთვის ორჯელ დაუხლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს. მკვლელი გაქცეულა ვანქის ტაძრისაკენ, მაგრამ ერთ მეეზოვეს ცხოვრებაშვილს აუტეხია ხმაურობა და ყვირილით გამოსდევნებია. მკვლელს ახლა ცხოვრებაშვილისთვის უსროლია რევოლვერი, მძიმედ დაუჭრია და წაუქცევია. ამის შემდეგ მკვლელი დამალულა. მოვიდნენ პოლიცმეისტერი და გამომძიებელი. დაჭრილი ცხოვრებაშვილი და მოკლულ ტერ-საკოვის გვამი გაგზავნეს მიხეილის სავადმყოფოში. იმავე საღამოს დააპატიმრეს დურგალი ხომასურიძე. ხუთი წელიწადი იქნება ხომასურიძის ცოლი ტერ-საკოვთან ცხოვრობდა. ამის გამო ეჭვი მიიტანეს სომხურიძეზე. ხომასურიძე გამომძიებელმა აჩვენა მიხეილის საავადმყოფოში დაჭრილის მეეზოვეს ცხოვრებაშვილს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არ იცნო მკვლელად. ამბობენ, ტერ-საკოვი სულ სხვა შურის ძიებით მოჰკლესო.

◆ დღეს, 5 დეკემბერს, ტფილ. ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება კერძო კრება გამგეობის წევრებისა, ხმოსნებისა, ზოგიერთ კაპიტალისტებისა, ფინანსისტებისა და სხვა-და-სხვა უწყების ინჟენერ-ტეხნიკოსებისა. კრებამ უნდა განიხილოს ინჟენერ მეტცის მოხსენება **წალკიდან წყლის მილის გამოყვანის** შესახებ.

◆ საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, **სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულ** იქნან იმათი შვილები, ვინც ბრძოლის ველზე მყოფ ჯარში არიან. ეს განკარგულება ამიერ-კავკასიის სამოსწავლო ოლქსაც მოუვიდა.

◆ როგორც „ნ. ო."-ს გაუგია, დღეს, 5 დეკემბერს, საღამოს მატარებლით ტფილისში ჩამოვა სრულიად **სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ და ხორცის დუქნების კომისიამ 3 დეკემბერს **ხორცის დუქნების არსებობაზე** მოილაპარაკეს. სხვათა შორის, კრებამ მოისმინა კომისიის აზრი და ს. ზ. მირზოევის მოხსენება დუქნების მნიშვნელობის შესახებ. კრებამ დაადგინა, დაბეჭდოს ორივე მოხსენება და შემდეგ განიხილოს. კრების აზრით, თუ ნიხრი არ გაუქმდა, დუქნებს ყოველთვის ზარალი ექნებათ, ამიტომ სასურველად სცნეს, რომ სენატმა მალე განიხილოს საბჭოს საჩივარი წინააღმდეგ საგუბერნიო საკრებულოსი, რომელმაც არ შეიწყნარა საბჭოს დადგენილება ნიხრის გაუქმების შესახებ. კრებამ დაადგინა, განაგრძოს დუქნების მოქმედება იმ დრომდე, ვიდრე სენატი ხსენებულ საჩივარს განიხილავს. ამას გარდა უნდა შეერთდეს ორი კომისია—ხორცის დუქნებისა და ნიხრის დამწესებელი, რომელთაც საბჭომ ნება უნდა დართოს დამოუკიდებლად ნიხრის დაწესებისა. დასასრულ კრებამ დაადგინა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში დუქნებისათვის გადაიდოს სულ 35,000 მანეთი.

◆ როგორც ბორჯომიდან გვატყობინებენ, 3 დეკემბერს, დილის 11 საათსა და 30 წუთზე, ოთხი შეშით დატვირთული პლატფორმა მიდიოდა ბორჯომის პარკში. მოულოდნელად **ვაგონები ერთმანეთს დაეჯახა** და სამი პლატფორმა ისე დაიმტვრა, რომ მტვრად იქცა. ამ პლატფორმებზე იჯდა ვაგონების გადამბმელი ამბაკო ჰელიძე, რომელიც ნამტვრევ ვაგონების ქვეშიდან მკვდარი გამოიღეს, ძლიერ დაშავდა თავში აგრეთვე მეისრე მიხეილ ტყემალაძე. ამბობენ, ამ უბედურობის მიზეზი ის იყო, რომ მემანქანეს ძლიერ ჩქარა მიჰყავდა მატარებელიო. ამ საქმის გამოსაძიებლად 3 დეკემბერსვე გაიგზავნა საგანგებო კომისია.

◆ ოცდა-ათ ნოემბერს აჯიქაბულში **ხოლერით ავად გახდა** ერთი კაცი; ბაქოს 1 დეკემბერს ავად გახდა ოთხი, მოკვდა ორი; ბალახანას ავად გახდა ორი, მოკვდა სამი კაცი.

◆ მთავრობას გადაუწყვეტია **მუღანის ველში სარწყავ არხების გაყვანა.** როგორც „ტ. ლ." გადმოგვცემს, ეს საქმე ინჟენერ მაევსკისთვის მიუნდვიათ.

◆ **შემდეგი დეპეშა მივიღეთ:** „გავსცდი რა ბაიკალს, სალამს ვუძღვნი მშობლებს, ნათესავებსა და ნაცნობებს. პოდპორუჩიკი პავლე ნიკოლოზის ძე ამაშუკელი".

◆ **დღესასწაულებში სოფლელნი** გასასყიდად ჩამოყვანილ წვრილ-ფეხ საქონელსა და ფრინველს ჰყიდდნენ პუშკინის ქუჩაზე სასულიერო სემინარიის გვერდით. სემინარიის მთავრობის თხოვნით, პოლიციის ბოქაული ნებას აღარ აძლევს სოფლელთ ამ ადგილას დადგნენ და ივაჭრონ. გუშინ ქალაქის გამგეობამ მისწერა პოლიცმეისტერს, სოფლელთ აღნიშნულ ადგილას ვაჭრობის ნება ქალაქის გამგეობამ დართო და უბრძანეთ პოლიციის მოხელეებს, რომ არ გარეკონ სოფლელნიო.

◆ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ 3 დეკემბერს განიხილა 1905 წლის ხარჯთ-აღრიცხვის მე-8 პარაგრაფი. რადგან დეფიციტია მოსალოდნელი, კომისიამ შეამცირა ზოგიერთი ხარჯი.

◆ რედაქციამ მიიღო „სასოფლოთაო კალენდარი 1905 წლისა", შედგენილი და გამოცემული გ. თავართქილაძის მიერ. ამ კალენდარში ორას გვერდზე მეტია და ორი მესამედი წიგნისა სალიტერატურო ნაწილს უჭირავს. მრავლად არის კალენდარში სხვა-და-სხვა წერილები, ლექსები, ბიოგრაფიები. არის აგრეთვე სურათები. ფასი კალენდრისა ერთი აბაზია.

◆ სად. სოგუთბულახი. 2 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, როდესაც საქონლის მატარებელი № 154 სადგურში შედიოდა, კონდუქტორი მიხეილ იაკოვლევი ტორმოზიდან ჩამოდიოდა და ხელი ვაგონის ხელის მოსაკიდზე ეჭიდა. ამ დროს ვაგონის ხელის მოსაკიდებელი ვაგონს მოსწყდა, კონდუქტორი მარჯვენა ფეხით ვაგონ ქვეშ ჩავარდა და ვაგონის თვლებმა მთელი თითები წააჭრა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ იქიდანვე. 2 დეკემბერს, მე-346 ვერსზე საქონლის მატარებელი № 255 გაჩერდა, რადგან ერთ ცისტერნის ვაგონს გაუტყდა თვლები და ნახევარი ამ ვაგონისა სოგუთბულახს ჩაიტანეს, მეორე ნახევარი ბეჟკიასიკში. ამ გარემოებამ გამოიწვია შეჩერება მატარებლებისა დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის.

◆ სადგ. რიონი. 2 დეკემბერს, როდესაც საქონლის მატარებელი სადგურში შედიოდა, მატარებელი შუაზედ გაწყდა და ორი ვაგონი დაზიანდა.

◆ სად. ცაგვერი. 30 ნოემბერს, როდესაც კონდუქტორი სარქის ბურნაზოვი ვაგონებს ერთმანეთს აბამდა, ბუფერებს შუა მხარი მოჰყვა და დაუშავდა.

◆ სად. ბათუმი. 2 დეკემბერს, როდესაც ვაგონიდან ტვირთსა სცლიდნენ, გადმოვარდა დიდი ყუთი და დაეცა მოშუშავე სელიმ-ხასან-ოღლის მარცხენა ხელზედ და დაშავდა.

◆ სად. საჯავახო. 1 დეკემბერს, საღამოს 8 საათსა და 40 წ., მიმავალ საქონლის მატარებლიდან № 161 გადმოყარეს 73 ფიცარი. ბოროტმოქმედნი ორნი იყვნენ. ერთი შეიპყრეს, მეორე გაიქცა.

◆ სად. ბათუმი. 1 დეკემბერს მანევრების დროს მეისრემ ნიკოლოზ ჭრიალაშვილმა მარჯვენა ხელის თითები დაიშავა.

—

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 276.** შინაარსი: „სასტუმროში",—ლექსი ი. ევდოშვილისა, „პირველი ნაბიჯი", (დასასრული), ნ. ყიფიანისა, „ცხოვრების წინაშე", მაქსიმ გორკისა, თარგ. ძაუგის ნარისა, სხვა-და-სხვა ამბები; სურათები: „მომაკვდავი დედა",—სურათი ლემონისა, ი. ა. კრილოვი, „პოეზია".—ქანდაკება დალუსი და კარიკატურა

პრესსა

„ნოვოე ვრემია" საზოგადო ფეხის ხმას აჰყვა და გაზაფხულის გალობა მანაც შემოსძახა, მაგრამ რის „ნოვოე ვრემია" იქნებოდა, რომ ამ გალობაში შიგა და შიგ ძველი თავისი ჩხავილი არ გაერია. სასურველ ცვლილების მოლოდინშია ეს „გაზეთი-ფლიუგერი"-ც, მაგრამ ეხლავე იმის ცდაშია, რომ ამ ცვლილებით ყველამ არ ისარგებლოს.

> ჩვენ არ ვმალავთო,—სწერს გაზეთი,—რომ რაც არ უნდა რეფორმა მოხდეს, რუსეთი რუსული უნდა დარჩესო.

კანონიერი სურვილია—რუსეთი რუსული უნდა იქნეს და იქნება კიდეც. მაშ ხომ ვერ გაგერმანელდება ან გათათრდება. მაგრამ „ნოვოე ვრემია"-ს ეს „რუსულობა" სულ სხვანაირად ესმის, სულ სხვა დარდი აწუხებს;

> თუ ჩვენ (რუსულ) ინტელიგენციაში ძლიერია არა-რუსული ელემენტი, ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, რაც შეიძლება ჩქარა, და გასწორდეს სახალხო განათლების გავრცელებით მხოლოდ წმინდა რუსებისათვის... სახელმწიფო, სადაც პოლიტიკურად გაბატონებული არ იქნება მთავარი ხალხი, მეორე ავსტრია იქნებოდა და, როგორც ამ უკანასკნელს, ადრე თუ გვიან დარღვევა მოელის.

ფელეტონი

პატარა ამბები

ასე შეუძლებელია!..

ამ ბოლო დროს მწარე ფიქრები მოსვენებას არ აძლევდნენ ვახტანგ გ—ელიძეს. მთელი მისი არსება დაიპყრეს და დაიმონეს, მის თავში სხვა აღარაფერი დარჩა, ყოველივე კუნჭულს დაეპატრონა ერთი და იგივე აზრები, ცოცხალ არსებასავით დახტოდნენ და მოძრაობდნენ მის სხეულში, მიდიოდნენ და მოდიოდნენ აქეთ-იქით. აბრძოდნენ. ვახტანგს ხანდახან ასე ეგონა, რომ თავის თავს აღარ ეკუთვნოდა. ეშინოდა, არ გაგიჟდეო.

ეს ცვლილება მოხდა მასში ამ ორი თვის წინად. სერიოზულად იყო ავად და რომ არა მისი მაგარი აგებულობა, შეიძლება განსაცდელშიც ჩავარდნილიყო. ამ ავადმყოფობის დროს, როდესაც უსაქმოდ იწვა ლოგინში და ბარე ორჯერ სიკვდილის სახემაც-კი გაურბინა წინ, ვახტანგმა ძალა უნებურად გადავლო თვალი თავის წარსულს, მოსთხოვა თავის ცხოვრებას ანგარიში, როგორი იყო ეს ცხოვრება, როგორ უყურებდა ცხოვრებას, რას თხოულობდა და რას ღებულობდა, იყო მისი ცხოვრება ისეთი, როგორც უნდოდა, თუ სხვანაირი?

ეს და სხვა მრავალი ამ გვარი კითხვა დაებადა ავადმყოფობის დროს, და ვახტანგს ძალიან გაუკვირდა, რომ აგერ ოცდა თერთმეტი წლის კაცი იყო და ერთხელაც-კი არ მიუმართავს ასეთი კითხვებით თავის თავისათვის. მართლა, ფიქრობდა ავადმყოფი ვახტანგი: რომ წარვსდგე ახლა უმაღლესის კანონის წინაშე და მომთხოვონ პასუხი, რას აკეთებდი, რა უნდა ვუპასუხო? დილიდან დღემდე, წლიდან წლამდე ვჭამდი, ვსვამდი, ვმუშაობდი და ვისვენებდი, როგორც ათასი და ათიათასი ჩემისთანა, მაგრამ ნუთუ ეს უნდა ყოფილიყო მისი ცხოვრება, სხვა არაფერი? განა მეტს არაფერს სთხოვდა თავის თავს, წმინდა იყო მისი სინიდისი, გულის სიღრმეში რომ ჩაეხედა, იქ არაფერი იყო დამარხული, ყველაფრის კმაყოფილი იყო?..

რაკი ერთხელ ჩაეწვეთა თავში ეს კითხვები, აღარ გამოდიოდა იქიდან. რაც მეტს ფიქრობდა, იმდენად უფრო და უფრო შორს იტაცებდნენ ფიქრები. აღარ შეეძლო უკვე განშორებოდა მათ, და აღარც უნდოდა განშორება. ფიქრები სტანჯავდნენ, როგორც ნემსები, ისე ჩხვლეტდნენ გულში, მაგრამ ტანჯვა სასიამოვნოდ ეჩვენებოდა და გულის ტკივილები სიამოვნებულად მოაჩნდა. მოისწრაფოდა, წინ, ეძებდა მტანჯველ აზრებს, ავადმყოფობით დასუსტებული კიდევ უფრო სუსტდებოდა მწარე ფიქრებისაგან. ვეღარ გაეგო, როგორ მოხდა, რომ ამდენ ხანს აღარ მოსვლოდა თავში ასეთი აზრები, ნუ თუ კიდევ ოცი, ორმოცი წელიწადი უნდა მეცხოვრა ასე თავის თავის განუსჯელად, გაუსამართლებლად? სწყევლიდა თავის თავს, რცხვენოდა, გათვლიანებული მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში. როგორ? როგორ ვცხოვრობდი და ამდენ ხანს არა ვკითხე ჩემს თავს: რა ვარ, რას ვაკეთებ? რას წარმოადგენს ჩემი ცხოვრება და მართალი ვარ თუ არა მე ჩემი თავის წინაშე და როგორ დავიცვავ გავლილ ცხოვრებას, რომ დამშორდეს დაცვა? განა ჩემი მოვალეობა არაა ჩემი შეხედულების, რწმენის, ყოფა-ქცევის, ცხოვრების დაცვა? სად არის შენი „მე"-ო, რომ მკითხონ, რა ვუპასუხო? წინ რომ გადამიშალონ ჩემი ზნე-ხასიათი, აღვიარებ მას ჩემად და თუ აღვიარებ, არ შევკრთები?..

იწვა გამტერებულივით, ხშირად პასუხსაც არავის აძლევდა. სხვა არაფრის დარდი არა ჰქონდა, მხოლოდ ერთი თავისი შინაგანი „მე" აინტერესებდა. მოწიწებით, ფრთხილად, ღრმა დაკვირვებით იკვლევდა თავის სულის ყოველ ნაწილს წარსულში და აწმყოში, სასტიკ მსაჯულსავით იძიებდა ყველაფერს, რაც უფიქრია, უგრძვნია, გაუკეთებია, რამდენჯერმე ასწონა ყოველი საქციელი და მწარე ოფლი დაასხამდა, როდესაც დაინახავდა, თუ რამდენი საზიზღრობა იყო მასში, რასაც წინად ყურადღებას არ აქცევდა, შეეხვია და კიდევ ეთაყვანებოდა. ხანდახან კანკალს დაიწყებდა, როდესაც მოაგონდებოდა: ვცხოვრობდი და კი არ ვფიქრობდი, როგორ ვცხოვრობდით. ასეთი ყოფა იყო ჩვეულებრივი ამდენი წლის განმავლობაში და მე ერთხელაც, ერთხელაც არის არ მოვინდომე საკუთარის თავის შემოწმება, ამაზე მეტი სისაძაგლე, და დანაშაულობა კიდევ იქნება? იღუპებოდე ადამიანი და ერთხელაც არა ჰკითხო შენს თავს, ხომ არ იღუპები და თუ იღუპები, როგორ უშველო თავს?

როგორ ვცხოვრობდი ასე ამდენ ხანს, ასე დაცემულად, არარაობით? ეკითხებოდა ვახტანგი თავის თავს, მაგრამ პასუხს ვერ პოულობდა და იყო ისეთი წუთები, როდესაც მზად იყო, წამოვარდნილიყო ზევით, სცემოდა, ვისაც კი შეხვდებოდა, და მუშტებით მოეთხოვა პასუხი. კედლებსაც-კი არ ზოგავდა ამ დროს და გამწარებული ურტყამდა მუშტს, გულზე სცემდა, როდესაც კედლები ხმას არ იღებდნენ, სდუმდნენ და საშინელი ოხვრა აღმოხდებოდა გულიდან. ექიმი გაუსინჯავდა მაჯას, გულს, სიცხეს და გამოუწერდა წამალს. ვახტანგს არ უნდოდა არც ერთი და ხან გულ მოსული, ხან ვედრებით და სიყვარულით ეუბნებოდნენ მისი თვალები ექიმს: თავი დამანებეთ, ჩემს ჯანმრთელობას არა უშავს, მე სხვა ავადმყოფობა მტანჯავს, სხვა წამალი მომეცითო.

ვახტანგის წინ გადაშლილიყო მთელი მისი წარსული ცხოვრება, რომელიც მას ჰქონდა, ახსოვდა, რომელიც, მზად იყო, ფეხით გაეთელა, შორს გადაეტყორცნა და საშინლად დაეგმობინა. ერთს წუთს იფიქრებდა, არა, ეს წარსული ჩემი არ არისო, მაგრამ უცებ ისევ კარგად იგრძნობდა, რომ ეს საზიზღარი ცხოვრება მისი საკუთარი „მე" იყო, და მაშინ შეეზიზღებოდა თავისი სხეული, ხელი, ფეხი, მოძრაობა, სულის თქმა, ყველაფერი მოშხამულად, გარყვნილად ეჩვენებოდა და მზად იყო სრულს დავიწყებას მისცემოდა—აღარაფერი დაენახა, აღარაფერი ეგრძნო. ხოლო ყოველივე ამაო იყო: მის წინ გოლიათ საშინლობით იდგა მისი წარსული, რომელშიაც არ მოსჩანდა ერთი ადამიანური საქმე, არ ისმოდა ერთი ადამიანური სიტყვა...

**

დღეს ვახტანგი სრულიად მორჩა, ავად არ არის. მაგრამ მწარე ფიქრები მაინც მოსვენებას არ აძლევენ, კიდევ უფრო აწუხებენ, ვიდრე ავადმყოფობის დროს. ზის, დადის, მუშაობს, თუ ისვენებს—ყველგან თან დასდევენ ეს ფიქრები. დასდევენ კი არა, თვითონ ვახტანგი მთლად ამ ფიქრებად გადაიქცა: რად იყო ის, რაც იყო და რატომ ამდენ ხანს არა ჰკითხა ეს თავის თავს?! ათასჯერ გაასამართლა თავისი თავი, მაგრამ მაინც არ არის კმაყოფილი. ეშინიან, სადმე კუნჭულში არ დამრჩეს რამე აზრი, არ დამრჩეს გაუსამართლებელიო. სადაც კი მიუწვდა გონება, ხსოვნა და ძალა, ყველაფერი გადმოაღაგა. და განიხილა შეუბრალებლად—თავისი ბავშვობა, სკოლა, უნივერსიტეტი, ეხლანდელი ცხოვრება, მოღვაწეობა, წრე, საზოგადოება.

ყველაფერი მოსწონდა წინად, და თუ რამე არ მოსწონდა, იმდენად მაინც არა, რომ განშორებოდა. რამდენჯერ დამდგარა გულუბრყვილოდ სარკეს წინ, სიყვარულით და კმაყოფილებით მიელერსებია თავის სახეს, რამდენი დიდებული აზრი წაუკითხავს შუბლზე, რამდენი ღრმა გრძნობა დაუნახავს თავის თვალებში, რამდენჯერ ამაყად გაუვლია სარკის წინ და მოარშიყე, გაბედულ ქალივით გაუცინია საკუთარ სახისათვის. ოთხჯერ თუ ხუთჯერ ფოტოგრაფთან გადაიხატა და ყოველთვის ცდილობდა, მისი სახე ჭკვიანური, სა-

დიდი ლარი და ხაზი არ არის საჭირო პატრიოტ გაზეთის გულის თქმის მიხვედრისათვის—გარდა წმინდა რუსისა რუსეთის იმპერიაში არავის არ უნდა ჰქონდეს გავლენა ქვეყნის საქმეებზე, თუნდ ეს საქმე არა რუსთაც ეხებოდეს, ე. ი. შემთხვევისთვის გალიბერალებულ გაზეთს სურს, რომ განაპირა ქვეყნებისათვის ისევ ძველი ბიუროკრატიული წესი დარჩეს, რადგან იმის წინააღმდეგია, რომ საქმეებზე გავლენა ჰქონდეს არა-რუსებს.

სწორედ ამ მიზნისათვის სურს სუვორინის გაზეთს, რომ მომავალ შეკრებილებაში, რომელმაც უნდა განიხილოს რეფორმის საქმე, წმინდა რუსულ გუბერნიებს ორჯელ მეტი წარმომადგენელი ჰყავდეს, ვიდრე დანარჩენ ნაწილებს.

„ნოვოე ვრემია"-ს ქადაგება ვერ გასჭრის იმ განაპირა ქვეყნებისათვის, სადაც ხალხი შედარებით მომწიფებულია პოლიტიკურად; იქ კი, სადაც არა თუ ხალხი, ინტელიგენციაც კი უსულგულო ცხოვრებას ატარებს, ინტერესები არა აქვს საზოგადოებრივ საქმეებისა, ვინ არის პატრონი, რომ სუვორინებს შესაფერი პასუხი გასცენ და ჩააჩუმონ.

⁂

რუსეთის იმპერიაში თურმე მარტო ორი შესანიშნავი გაზეთი ყოფილა, რომ წინდაწინვე მიმხვდარან შორე-აღმოსავლეთის ომიანობის მოსალოდნელ სიძნელეს: ერთი თავად მეშჩერსკის „გრაჟდანინ"-ი და მეორე... ქართული „მწყემს"-ი. არ გჯერათ? ჩაიხედეთ ამ წლის 22 ნომერში და აი რას წაიკითხავთ:

> რუსეთის გაზეთებში ყველაზე უკეთესად მიხვდა ამ (ომის) სიძნელეს თავადი მეშჩერსკის გაზეთი და ჩვენი კუთხის გაზეთებში ყველაზე უკეთ მიხვდა „მწყემსი"-ს ორგანო, რომელმანაც ომის შესახებ თავის მთავარ თანამშრომლის, სოფლის ხუცესის მწარე ფიქრები დაბეჭდა და წინასწარ გამოსთქვა ყველა ის სიძნელე ომიანობისა, რომელსაც სხვა გაზეთები ვერ მიხვდნენ. აი რას სწერდა ეს ორგანო თებერვლის დამლევს ომის შესახებ, რომელიც სხვების ფიქრით თით თვეში უნდა დასრულებულიყო.

მერე იცით, ვინ სწერს „მწყემსის ორგანოსა" და მის მთავარ თანამშრომელ სოფლის ხუცესზე? თვითონ სოფლის ხუცესი, „მწყემსის ორგანოს" მწარე ფიქრების ავტორი. მოდი და ნუ დაიჯერებთ!

სასამართლო

I

ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლა

26 ნოემბერს ქალაქ განჯაში კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე განჯის მცხოვრებთა გრიგოლ გუკასოვისა და სიმონ და ივანე ფარაშოვებისა. გუკასოვს ჰბრალდებოდა წინასწარ განზრახვით შურის ძიება და განჯის ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლა, დანარჩენთ ჰბრალდებოდათ ბოროტ-მოქმედების დამალვა. სასამართლოში ბრალდებულთ იცავდნენ მოსკოვიდან ჩამოსული ნაფიცი ვექილი ნ. კ. მურავიოვი და ტფილისელი ლ. ა. ზიმენტოვსკი. სასამართლომ ამ საქმის გამო გამოჰკითხა 80 მოწმეს. საქმის გარჩევამ 26-დან 30 ნოემბრამდე გასტანა. განაჩენი გამოცხადდა 3 დეკემბერს. სასამართლომ ივანე ფარაშოვი გაამართლა, დანარჩენნი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა: გრიგოლ გუკასოვს—ჩამოხრჩობა, ხოლო სიმონ ფარაშოვს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და სამუდამოდ კატორგაში გაგზავნა.

II

სააქციზო მოხელეთათვის წინააღმდეგობის გაწევა

როგორც მკითხველებმა იციან, კანონის ძალით უპატენტოთ არავის არ შეუძლიან არყისა და სხვა მაგარ სასმელების გამოხდა. რადგან გურიაში ამ რამდენისამე ხნის წინად ბაჟს მოუმატეს, ბევრმა აიღო ხელი არყის გამოხდაზე, ამის გამო ქუთაისის გუბერნიის მეორე სააქციზო ოლქს საპატენტო გადასახადების შემოსავალი შემოაკლდა. სააქციზო უწყებას, ეჭვი დაებადა, მცხოვრებნი ჩუმად ხომ არ ამზადებენ მაგარ სასმელებსაო. ამ მიზეზით მოხელენი [illegible] მხნეობით შეუდგნენ საქმის გამოკვლევას. როგორც საბრალმდებლო ოქმი გადმოგვცემს, 1903 წელს იანვარში სოფლებში დასათვალიერებლად გამგზავრებულა სააქციზო კონტროლერი ქიქოძე და იმავე ოლქის ზედამხედველნი სპასკი, პოდლუბნი და ჩინჩალაძე. აღნიშნულ მოხელეებს სოფელ ასკანაზე გავლის დროს შეუმჩნევიათ, რომ ერთ სახლიდან კვამლი ამოდიოდა. ეს სახლი ყოფილა ასკანის მცხოვრების დავით ნინიძისა როდესაც სახლი დაუთვალიერებიათ, უნახავთ ყოველივე მოწყობილება არყის გამოსახდელად. მოხელეებს პოდლუბნი ასკანის მამასახლისთან გაუგზავნიათ, თითონ იქ დარჩენილან მამასახლისის მოლოდინში. ამ დროს სახლის წინ შეგროვილან სოფლელნი. ცოტახანს შემდეგ სახლში შევარდნილა ნაჯახით ხელში დავით ნინიძის შვილი ერმილე; იმას მიჰყოლიან სხვებიც. ერმილეს ქვაბების წაღება სდომებია, მაგრამ მოხელეს ჩინჩალაძეს არ დაუნებებია. მაშინ ქვაბები ძალით წაუღიათ. როცა მამასახლისი ნაცვალაძე მოსულა, შესდგომიან არყის სახდელ ნივთების ვასილ ნინიძის დუქანში გადატანას მოხელეებს არც ერთი კაცი არ დახმარებია ნივთების გატანის დროს და ყველაფერი თითონვე წაუღიათ. ნინიძის სახლთან თავმოყრილთ დაუწყიათ მოხელთათვის სტვენა და ყიჟინა. ორიოდე ქვაც გაუსროლიათ. ერთი ქვა მოხვედრია ჩაფს, რომელიც ჩინჩალაძეს ჯორით მიჰქონდა. ჩაფი გატეხილა და წყალი ზედ ტანზე გადასხმია. ამით დამფრთხალ ჯორს წიხლის სროლა დაუწყია და მხედარი ძირს გადმოუგდია.

ზემოდ აღნიშნულის გამო პასუხის გებაში მიუციათ დავით და სიო ნინიძენი, თალაქვაძე და ერმილე ნინიძე. პირველ ორს ჰბრალდებოდა საიდუმლოდ არყის გამოხდა; დანარჩენ ორს—სააქციზო მოხელეებზე თავდასხმა, ცემა და, საზოგადოდ, წინააღმდეგობის გაწევა. გამოძიების დროს ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ აღიარეს. დავით და სიო ნინიძემ განაცხადეს, სახლში მაშინ მივედით, როცა ხალხმა თავი მოიყარა, და ჩვენ აზრადაც არა გვქონია არყის საიდუმლოდ გამოხდაო. ერმილე ნინიძეს და თალაქვაძეს უთქვამთ, ჩვენც შემდეგ მოველით, არავითარი წინააღმდეგობა არ გაგვიწევიაო.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ ეს საქმე გაარჩია ოზურგეთში 1 დეკემბერს. ბრალდებულთ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე კ. ი. ჯაფარიძე.

სასამართლომ სიო ნინიძე გაამართლა, დავით ნინიძეს გადაუწყვიტა 40 მანეთით დაჯარიმება, ხოლო ერმილე ნინიძისა და ივანე თალაქვაძის შესახებ დაადგინა, ჩამოერთვათ მათ ზოგიერთი უფლება და დაპატიმრებულ იქმნენ საპყრობილეში თითო ხუთ-ხუთის თვით.

რუსეთის ქრონიკა

✦ „ნოვ. ღნ."-ს სწერენ პეტერბურგიდან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ახალი გაზეთის „რაზსვეტ"-ის გამოცემის ნება მისცა თავ. უხტომსკის, რომელსაც ამ ორი წლის წინად აეკრძალა გაზ. „ს. პეტ. ვედ."-ის რედაქტორობა.

✦ „ს. პეტ. ვედ."-ის სიტყვით, პროვინციაში უკვე შემუშავებულია გეგმა კერძო კრებისა, რომელმაც უნდა შეადგინოს შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ჟურნალისტების კრების მოწვევის შესახებ. ამ საქმის მოთავე გაზ. „ორლოვსკი ვესტნიკ"-ია.

✦ სარატოვში ამ დღეებში დასრულდა კრება კოოპერატიულ საზოგადოებათა წარმომადგენლებისა. კრებას არა-ჩვეულებრივი სიცოცხლე ეტყობოდა. 200-მდე კაცი დაესწრო: მასწავლებლები, გლეხები, მეურნეები, ექიმები, ბეითლები და სხვა. კრებაზე სავსებით გამოირკვა, რომ კოოპერაციულ საზოგადოებათა ნაყოფიერ მოქმედებას აფერხებს რუსეთის დღევანდელი წეს-წყობილება, ბიუროკრატიულ-„ჩინოვნიკური" რეჟიმი.

✦ 28 ნოემბერს დაასაფლავეს პეტერბურგში განსვენებული ცნობილი მწერალი პიპინი. დიდძალი საზოგადოება დაესწრო: მწერლები და მეცნიერები. რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან სამძიმრის დეპეშები მოვიდა. სხვათა შორის, ლ. ტოლსტოიმაც გამოუგზავნა სამძიმრის დეპეშა განსვენებულის ოჯახს.

✦ რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ მამა იოანე კრონშტადტელი ძლიერ ავად არისო.

✦ ამას წინად რუსეთის პრესსაში ხმა გავრცელდა იმის შესახებ, რომ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ებრაელების მეტ რიცხვს მიიღებენ, ვინემ დღემდის ღებულობდნენო. ეს ხმა ყალბი ყოფილა. ხმა იმიტომ გავრცელებულა, რომ რამდენიმე ებრაელის კერძო თხოვნა დაუკმაყოფილებიათ და მიუღიათ ამ სასწავლებლებში.

✦ ნოვგოროდიდან „რუს"-ს სწერენ, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით 10 იანვრამდის გადადებულ იქნა 1 დეკემბერს დანიშნული საგუბერნიო საერობო კრება.

✦ „პრავო" იუწყება, რომ არხანგელსკიდან უკვე დაბრუნებულ 80 კაცის გარდა, ამას წინად კიდევ დააბრუნეს უმაღლესის ბრძანებით არხანგელსკში გადასახლებული 16 კაცი: ინჟინერის ცოლი ოლგა სმირნოვა, ხარატი დ. ავდიენკო, თ. სმირნოვი, პ. კამონოვი, პეტერბურგელი მასწავლებელი ქალები ვ. და ნ. სობოვები, დურნოვი, კნიაზევი, ტოინიკოვი, საერობო ფელდშერი კ. სტრუკი, გ. ანდრუტიტისა, სიმონიანცი, კომაროვი, შპანიი, კრემინსკი და ზატონსკი.

✦ 28 ნოემბერს არიოლში საგუბერნიო საერობო კრება მოხდა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. 80-მდე მოხსენება იქნა წაკითხული. საინტერესო მოხსენება იყო: „ადმინისტრაციის თვითნებობა საერობო მოსამსახურეთა დამტკიცების დროს", „საერო განათლების პირობები" და სხვა.

✦ „ნაშა ჟიზნ"-ის ცნობით, წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებული ალექსანდროვსკი სამსახურს სტოვებს. ამ სამი კვირის წინად წითელი ჯვრის ამსრულებელ კომისიას ანგარიში წარუდგინეს, რომელსაც ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებენ.

✦ როცა პეტერბურგში უეცრად დაიხურა სატეხნიკო და საპროფესსიონალო განათლების სფერაში მოღვაწეთა კრება, გამოძიება სენატორს ტურაუს მიენდო. ტურაუმ განიხილა ამ კრებისათვის შეგროვილი მთელი მასალა და, როგორც სჩანს, შიგ უკანონო ვერაფერი ვერ აღმოაჩინა და მთელი მასალა კრების კომიტეტს დაუბრუნდება დასაბეჭდად. სენატორს ტურაუს მიენდო აგრეთვე გამოძიება პიროგოვის სახელის ექიმთა უკანასკნელ კრებისა და მასწავლებელთა კრების შესახებ, რომლის დროს მოსკოვში უწესოება მოხდა.

✦ 23 ნოემბერს პეტერბურგის ტენიშევის სასწავლებელში მოხდა ამ სეზონში პირველი კრება სალიტერატურო ფონდისა. დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო კრებას: ბევრს ადგილი არ ჰხვდა და ქუჩაში იყვნენ თავ-მოყრილნი, სადაც იდგა პოლიციელთა ძლიერი რაზმი. კრებაზე პ. ვეინბერგმა სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ ცნობილ მწერლის მიხაილოვსკის სახსოვრად. „საუბედუროდ, მაშინ გარდაიცვალა მიხაილოვსკი,—სთქვა ვეინბერგმა,—როცა მოახლოვდა იმის იდეალის, იმის მისწრაფებათა განხორციელება. დადგა ის დრო, როცა გულ-გატეხილი პესიმისტებიც იმედით აღსავსენი შეჰყურებენ მომავალსაო". დამსწრე საზოგადოება ძლიერის ტაშის ცემით მიეგება ორატორის სიტყვას. ყველას არა-ჩვეულებრივი მხიარულება და მღელვარება ეტყობოდა.

✦ იმავე სასწავლებელში 24 ნოემბერს მოხდა მასწავლებელთა საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრნენ ცნობილი პედაგოგები, მწერლები მეცნიერები და დიდძალი-საზოგადოება. სხვათა შორის, კრებაზე აღძრეს ლაპარაკი საერო განათლების ფონდისა და თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოების მოსალოდნელ განახლების შესახებ. კრებამ გადასწყვიტა, დღეს უდროოა საერო განათლების თანხის შესახებ სჯა-ბაასი, რადგან მოახლოვებულია რუსეთის საზოგადო წესწყობილების საყურადღებო ცვლილებაო.

✦ „პრავო"-ს სწერენ, რომ ლუგანის საპატიმროში დიდი უწესოებაა. ბევრი ტუსაღი გაულახავთ, რის გამო ტუსაღებს გადაუწყვეტიათ, ძალად დამშივება, საჭმლის მიღებაზე უარი განუცხადებიათ. ხმებია, მოსკოვის სატუსაღოშიაც პატიმარნი ძალად შიმშილობას ითმენენო.

✦ ლატიშთა გაზეთი „დინა ციიტუნგ" იუწყება, რომ რიგაში ახალი უწესოება მოხდა. ადგილობრივ ლუთერანთა ეკკლესიაში წირვის დროს შესავალთან რამდენიმე კაცი პროკლამაციებს ურიგებდა ხალხს. პოლიციამ დააპატიმრა პროკლამაციების გამავრცელებელნი.

ტფილ. საბაღოსნო სკოლა და იქ სწავლა დამთავრებულნი

(პასუხად ბ-ნ ლესოს).

„ცნობის ფურცლის" 1 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილია ბ-ნ ლესოს წერილი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საყურადღებოდ. როგორც წერილიდან სჩანს, საბაღოსნო სკოლაში სწავლა-დამთავრებულ ახალგაზრდობის ბედიღბალს ძალიან დაუფიქრებია და შეწუხებული შესჩქერის მას. ამ გულ-შემატკივრობასთან ბ-ნ ლესოს საქმეც რომ სცოდნოდა, ან გაეგო, იქმნება იმის გარამს პატარა შეღავათი მისცემოდა და თანაც იქმნება საზოგადოებაზე ცოტა გული მოებრუნებინა. რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ და ლესოს გული მოვუბრუნოთ საზოგადოებაზე, აი რა ცნობები შეგვიძლიან მოვახსენოთ საბაღოსნო სკოლაში სწავლა-დამთავრებულთა შესახებ.

სკოლა დაარსებულია 1886 წელს. ამ წლიდან 1901 წლამდის სკოლა გაუთავებიათ სულ 137 მოსწავლეს. ამ რიცხვიდან 93 სწავლა დამთავრებული თავის სპეციალურ საქმეშია, 14 მასწავლებლად მებაღეობისა, 5 მიწვეული სამხედრო ბეგარის გადასახდელად, 16-ს თავი დაუნებებია თავის სპეციალურ ხელობას, 4 გარდაიცვალა, 5—არავითარი ცნობები არ არის არც საზოგადოებაში, არც სკოლაში. აქედან ადვილად დაინახავს მკითხველი, რამდენად მართალია ის სიტყვები, ვითომ „უმეტესობა უსაქმოდ დადის გოლოვინის პროსპექტზე, მშიერ-მწყურვალი". საბაღოსნო სკოლა დაარსებულია საზოგადოების მიერ იმ აზრით, რომ იქ სწავლა-დამთავრებული დაუბრუნდეს თავის საკუთარ მიწა-წყალს და თუ ისწავლია რამე სკოლაში, თავის ოჯახსა და მამულს მოახმაროს, მეტადრე მაინც შეაკეთოს. საზოგადოებას სრულებითაც არა ჰქონია ფიქრად, არცა აქვს, მზადება სხვის მამულებისათვის ნოქრებისა, ზედამხედველებისა, მევენახეებისა. რომ ეს მიზანი ძნელი ასასრულებელი არ არის სკოლაში კურს დამთავრებულისათვის და ცოტაოდნათაც სრულდება, აი საბუთიც: იმ 137 კურს დამთავრებულიდან, რომელნიც ზევით აღვნიშნეთ, 56 ეკუთვნოდა თავად-აზნაურობის წოდებას, 40 გლეხისას, 34 მოქალაქე—ვაჭრის წოდებას, 5—სასულიერო წოდებას და ორიც უცხო იყო. ვთქვათ, ვაჭარ—მოქალაქეს სრულად მამული არ მოეპოვება (?) და იმისი შვილები ვერ იმუშავებენ საკუთარ მამულში, თავად-აზნაურს, გლეხობას ჯერ ხომ კიდევ მოეპოვებათ ცოტაოდენი მამული, და ავად თუ კარგად სასოფლო-მეურნეობას მისდევენ, ამათ რადა ემართებათ?—თუ ნასწავლი მებაღე მართლა თავის მამულს გაურბის და სხვის მამულში შრომას არჩევს, სხვის თვალსა და ხელში შეცქერას ამჯობინებს, თუ ურჩევნიან, რომ სხვის მამულს შეალიოს თავისი ჯანი, ვიდრე თავის მამულში იმუშაოს, აქ სულ სხვა მიზეზები უნდა იყოს. საბაღოსნო სკოლაში სწავლა დამთავრებული საშუალოდ იღებს ჯამაგირს 30—35 მან., აბა, გადავავლეთ თვალი ჩვენ მემამულეებს კავკასიაში, ბევრს შეუძლიან გაიღოს თავისუფლად ეს ხარჯი ნასწავლ მეურნის დასაქირავებლად?

მემამულემ რომ წელიწადში 360—420 მან. აძლიოს ნასწავლ მეურნეს, იმანაც უნდა, სულ რომ ცოტა, ერთი ორად მამულს შემოსავალი მოუმატოს, თორემ რა სარგებლობა იქნება მემამულესათვის მისი შენახვა? თუ მართლა ნასწავლ მევენახეს ან მეურნეს იმოდენა გამჭრიახობა აქვს, ხერხი და ცოდნა მოსდევს, რომ მოსავალი მოუმატოს მამულს, უმჯობესი არ არის თავის საკუთარ მამულში იმუშაოს, თავის საკუთარ მამულს მოსავალი გაუორკეცოს? უმეტესი ნაწილი, როგორც ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, საბაღოსნო სკოლაში სწავლობენ მემამულეს შვილები, მაშ რადად დადიან უსაქმოდ გოლოვინის პროსპექტზე მშიერ-მწყურვალნი. განა შრომის მოყვარე ადამიანი, შრომის მძებნელი ბულვარზე სიარულს ირჩევს, როცა სახლში, თავის მამულში საქმე შეუძლიან გააკეთოს და არც მშიერ-მწყურვალი დარჩეს. მაგრამ, მგონია, „უმეტესობის, სკოლაში კურს დამთავრებულების, ბულვარზე სიარული" უფრო მერაბას კურდღლისა ჰგავს, ზღაპარს, ვიდრე ნამდვილ გარემოებას.

უველამ კარგად იცის, რომ მემამულე მუშას, ნასწავლსაც და უსწავლელსაც, ინახავს მანამდის, სანამ მას ენერგია, ჯანმთელობა მოსდევს და მისთვის სარგებლობა მოაქვს; როცა მუშას ჯანი უტყდება, მემამულე იისოვს, სარგებლობას ვეღარ ჰხედავს, ხარჯი აჭარბებს იმის ნამუშავარს. ჯან გატეხილი მუშა ძალა უნებურად უნდა დაბრუნდეს შინ, იქნება ტვირთადაც ოჯახისა, რა

რიოზული და ლამაზი გამოსულიყო. სჯეროდა, რომ ნამდვილად ამგვარი იყო ასე თუ ისე და უნდოდა, რომ სურათში უფრო ნათლად, გარკვევით გამოჩენილიყო მისი ღირსებანი. თუ ხანდახან საქმეს დაიწუნებდა თავის ცხოვრებაში, მაინც დარწმუნებული იყო, რომ საზოგადოდ ეს ცხოვრება არ იყო დასაწუნი და ბევრი მოსაწონი მხარეებიც ჰქონდა.

ახლა კი ხედავდა, რომ სისუსტე, სიყალბე და მაჩანჯობა იყო ყოველივე და ზიზღის ღირსი იყო, რითაც ამაყობდა წინად. მთელი მისი წარსული ცხოვრება იყო მხოლოდ მონური ყოფაქცევის შეთვისება, მონური არსებობა, მონობა შეუგნებელი. ბავშვი იყო და რას სწავლობდა? იმდენი მასწავლებელი გამოიცვალა, მაგრამ ერთიც არ შეხვედრია, რომელსაც მეგობრული მართალი სიტყვა ეთქვას მისთვის. მასწავლებლები ისე უცქეროდნენ მას და მის ამხანაგებს, როგორც მტრებს და მარტო ერთი მისწრაფება ჰქონდათ: გადაეგვარებინათ ბავშვები და ამოეთხარათ მათ გულებიდან „მტრული" გრძნობები. მოსწავლენი რასაც სწავლობდნენ, მასწავლებელთა გარეშე და დაუხმარებლად. სკოლაში სწავლობდნენ იმას, რაც გონებას ახშობდა, სულს იმონებდა, ასწავლიდნენ ისე, რომ მოეკლათ ხასიათი და თავისუფალი ნება. მოსწავლეს იმას კი არ მოუწონებდნენ, თუ დამოუკიდებელი იყო, თვით მოქმედი, ცნობის მოყვარე და თავის პატივის მცველი, არამედ იმას, რომ მონა ყოფილიყო, მუდამ მორჩილი, მშიშარა, გაუბედავი, სხვის პირში შემყურე. უნიჭოს, მაგრამ მონური ხასიათისას, აჯილდოვებდნენ იმიტომ, რომ „სამაგალითო ყოფაქცევის" არისო. მაღალს სასწავლებელშიაც ამას ჰხედავდა: პროფესსორები თითქმის განზრახ უმალავდნენ სიმართლეს, ხელს აფარებდნენ ისეთს საგნებს, რომელიც ყველაზე უფრო გაუღვიძებდა მოზარდ თაობას ადამიანური ღირსების შეგნებას. საოცარი იყო: პროფესსორი ხშირად მოიყვანდა ლექციების დროს სწორედ იმ ადგილამდის, სადაც სწორედ სიმართლე იწყებოდა, და ამ დროს უცბად თავს დაუკრავდა მსმენელებს და გარედ გავიდოდა. უნივერსიტეტშიც თავისუფალ და დამოუკიდებელ აზრს ადგილი არა ჰქონდა; აქაც ხმა მაღლა ლაპარაკი აკრძალული იყო, შეერთება და ერთად მუშაობა არ შეიძლებოდა, მეცნიერების ტაძარი მანქანად იყო გადაქცეული, არც მოსწავლეებს და არც მასწავლებლებს სიცოცხლე არ ეტყობოდათ, ყველანი ლაპარაკობდნენ, დადიოდნენ, სწერდნენ თითქოს ნაძალადევად, უნებურად, ვისიმე ბრძანების ასასრულებლად...

გასტანგმა გაათავა სწავლა და დაუბრუნდა ცხოვრებას, საზოგადოებას, სადაც ყველაფერი გაწესრიგებული, გაწესებული, ერთს კალაპოტში, ერთს ფარგალში იყო ჩაწყობილი „ბატონებისაგან" და განძრევაც-კი არ შეიძლებოდა ნებადაურთველად, სადაც ყველაზე უფრო დიდი დამნაშავე ის იყო, ვისაც რამე აზრი ჰქონდა, ვინც თავის სურვილისამებრ იცინოდა და სტიროდა, ვისაც თავის სამშობლო ქვეყანა უყვარდა, თავის დედა-ენაზე ლაპარაკობდა, თავისი ერი ერად მიაჩნდა და მისთვის დამოუკიდებელი ცხოვრება საჭიროდ მიაჩნია, ვინც მუშას უსამართლოდ დაჩაგრულად სთვლიდა და ფიქრობდა? მუშას უფლება აქვს თავისი ნაოფლარი დაიცვასო... დაბრუნდა გასტანგი ასეთს საზოგადოებაში, შევიდა სამსახურში, სწერდა დამტკიცებულის ფორმით საკანცელარიო ქაღალდებს, მოწიწებით უკრავდა თავს უფროსებს, უხაროდა, თუ რომელიმე მათგანი გამოელაპარაკებოდა, იღებდა მონაწილეობას სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებში, ე. ი. ესწრებოდა კრებებს, ამბობდა სიტყვებს, მუშაობდა სხვა-და-სხვა კომისიებში და კომისიაში, იწერდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, დადიოდა ქართულს თეატრში, ესწრებოდა ქართველი მოღვაწეების გასვენებას და ბარე ორჯერ სიტყვაც კი წარმოსთქვა...

* *

ასეთი იყო გარეგნულად გასტანგის ცხოვრება, თითქმის კარგად მოწყობილი იყო იგი. გასტანგი შეეჩვია მას, ისე ცხოვრობდნენ სხვებიც, და მას კარგი სახელიც ჰქონდა დამსახურებული, სახელი კარგის ქართველისა და მოღვაწისა.

მაგრამ რა იმალებოდა ამ გარეგნობის იქით?

გასტანგი შეურაცხყოფილი და დაჩაგრული იყო როგორც ადამიანი და როგორც ქართველი. მის საუკეთესო ადამიანურ უფლებებს ფეხით თელავდენ ყოველ წუთს. ცხოვრობდა იმდენად, რამდენად უარჰყოფდა თავის ღირსებებს. არ შეეძლო თავისუფლად ცხოვრება, თავისუფლად ლაპარაკი, თავისუფლად შეკრებილიყო სადმე. არ შეეძლო თავის ელემენტარული უფლების დაცვა. გასტანგმა ყველაფერი ეს უარჰყო, ყველაფერი დაჰკარგა, ამიტომაც იყო უვნებლად, ხელს არავინ ახლებდა—არ ახლებდა, რადგან უკვე არაფერს წარმოადგენდა—და გასტანგიც არაფერს ჰგრძნობდა, თუ რამ აკლდა. მის წინ რომ უსამართლოდ წაექციათ ადამიანი, უმოწყალოდ ეცემათ, დაეხრჩოთ, მას უფლება არ ჰქონდა, ხმა ამოეღო უსამართლოდ დაჩაგრულისათვის. საკუთარ სახლში რომ ცეცხლი გაჩენოდა ან ავადმყოფობა, არ შეეძლო, თვითონ ეზრუნა თავის გაჭირვებისათვის. ყველა მისი ბატონი იყო, სხვისი ბრძანებით უნდა გაეკეთებინა ყველაფერი; რაც მისი იყო, ის მისი აღარ იყო. მისთვის სასტიკად აკრძალული იყო, რასაც ეროვნული ხასიათი ჰქონდა, იგი მუდამ დამნაშავე იყო, რადგან ქართველი იყო, არც ერთი უფლება აღარ ჰქონდა შერჩენილი და ბედნიერებად უნდა მიეღო ისიც, რომ ჯვარზე არ იყო გაკრული...

არაფერს ამას არა გრძნობდა გასტანგი, ითმენდა და თუ გრძნობდა ხანდახან, არა ისე ძლიერ, რომ ხმა ამოეღო. როდესაც გაიღვიძებდა მასში სინიდისი, რომელიც ამხილებდა და უსაყვედურებდა უზნეობას და ლაჩრობას, გასტანგი გარბოდა, ემალებოდა სინიდისს, ემალებოდა თავის „მე"-ს საუკეთესო ნაწილს.

ზიზღით, საშინელის გულისტკივილით იგონებს ახლა ამას. რა საძაგელი, უმსგავსო რამ იყო! რა იყო, რას აკეთებდა?.. მერე თავისი თავი იდეალისტად, კეთილშობილ ადამიანადაც კი მიაჩნდა!

როგორის გულდადებით, როგორის გატაცებით უსმენდა შილლერის გმირებს! როგორ შეუყვარდა დონ-კარლოსის და პოზას მეგობრობა, როგორ ეალერსებოდა უკანასკნელის სახეს! როგორ ძლიერ უცემდა გული, როდესაც გამარჯვებული ურიელ აკოსტა დაიძახებს ბოლოს: მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავსო! რამდენჯერ მოუგონებია სიხარულით სამასი სპარტელი, ბერძნების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, იოანე გუსი, დიდი რევოლუციის მოღვაწენი საფრანგეთში, ვაშინგტონი, როგორ უყვარდა ლესსინგი!.. როგორ ჰკანკალებდა, როდესაც ხედავდა ქართულს თეატრში: როგორ იმარჯვებდნენ მამულიშვილები, როგორ მიდიოდნენ სიმღერით მამულისათვის მსხვერპლად შეწირულნი, ცრემლებს ვერ იკავებდა ამ დროს...

მაგრამ ეს ყველაფერი იყო ოცნება, სიზმარი! ნამდვილი ცხოვრება კი იყო სხვანაირი მონური, დახრული, გარყვნილი, არა-ადამიანური...

მწარედ იგონებდა ამას გასტანგი და მეტის სიბრაზისაგან სულის თქმა უჭირდა. არა, არა და არა! გადაჭრით ეუბნებოდა ეხლა თავის თავს: შეუძლებელია, შეუძლებელია ასეთი ცხოვრება. ბოლო უნდა მოეღოს, რაცაც უნდა დამიჯდეს ეს!

და რაც ხანი მიდიოდა, უფრო და უფრო მტკიცდებოდა მასში რწმენა, რომ უნდა გათავებულიყო წარსული ცხოვრება და დაწყებულიყო სხვანაირი, ახალი ცხოვრება უფლებიანი, თავისუფალი...

ხიტუვა.

(დასასრული იქნება)

უნდა გაუხდეს 30 მან. თვეში ნასწავლ მემამულეს, თუ მეტადრე სახლობასაც მოეკიდა? განა უმჯობესი არ იქნება, თავდაპირველად თავისავე მამულს მოჰკიდოს ხელი და თავის სწავლით ცოტად თუ ბევრად გაამაგროს კერა? ამ გვარად შრომა უფრო სანუკვარია შვილებისათვის. ბულვარზე მოსეირნე მეურნე, რომ მართლა გამსჭვალული იყოს შრომისათვის, იმას მაინც მოახერხებდა, რასაც ახერხებენ უბრალო, უგრომოდ ჩამოსული იმერლობა ქალაქების გარეშემო ბაღებში და მშიერ-მწყურვალი არ მოჰყვებოდა ბულვარის ტკეპნას.

ვთქვათ, ბ-ნი დესო მთლად ჭეშმარიტებასა ბრძანებს, უმეტესობა უსაქმურად დაეხეტება. განა სკოლის დახურვა უსაქმოების ბულვარზე სიარულს შეამცირებს, ან ბიუროს გახსნა ყველას საქმეზე დააყენებს? რამდენია სხვა და სხვა გვარი ბიუროები, რომ ყველასათვის საქმეს ვერ შოულობენ, ან რა კავშირი აქვს საქმის საშოვნელ ბიუროს სკოლასთან? საბადოსნო სკოლა, როგორც ბ-ნი დესო სწერს, იყვანს სხვა სასწავლებლებიდან დათხოვნილებს, ხელ მოკლეებს, ე. ი. იმათ, რომელთაც სხვა სასწავლებლებში არ შეუძლიათ შესვლა ხელ-მოკლეობით, უგვანსობით, მოუმზადებლობით. განა ამათი სულ უსწავლელად დარჩენა უკეთესი იქნებოდა? საბადოსნო სკოლიდან გამოსულნი, თუ ყველა მეურნედ არა რჩება და მამულში არ მუშაობს, ცოტაოდენი ხომ მაინც, თქვენივე სიტყვით, თავის სპეციალობას თავს არ ანებებს. ზოგნი ხომ მღვდლათ, რკინის გზის მოხელედ, მაკლერად და სხვა ხელობის კაცად ხდება. დავიჯეროთ ცოტად მაინც არა შველის სკოლაში მიღებული სწავლა ამათ საქმეში ჩადგომას. ერთი თვისება ბიუროკრატისა არის, რომ იგი ეპოტინება და სცდილობს წეს-რიგი მისცეს იმას, რისაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს. ბ-ნო დესო, თქვენ სიტყვები-კი გვისწავლიათ „ბიუროკრატია“, „ზნეობა“, მაგრამ მათი ხმარებისა-კი რა მოგახსენოთ.

ეგ. იოსელიანი.

წერილები

სამეგრელო. სამეგრელოში და განსაკუთრებით აფხაზეთში გავრცელებულია პალმის „ორგანო“ „ჩერნ. ვესტ.“, რომელშიაც სოფლის მასწავლებლები თანამშრომლობენ და ამ მასწავლებლებს-კი მომავალი თაობა აბარია აღსაზრდელად... ვიწერთ, მაშასადამე, ნივთიერებად ხელს ვუწყობთ; ვთანამშრომლობთ და მაინც ყოველგვარი მტერივით თავზე გვაჯდება, ჩვენვე გვლანძღავს და გვათრევს. ალბად, იცის „ჩვენისთანა ბედნიერ ერთან“ რანაირი ხერხი სჭრის... ყოველგვარ ჩვენებურ წმიდათა-წმიდას ფეხით სთელავს, დაგვცინის და ჩვენ-კი... იმის ნაცვლად, რომ ეს თავხედი კლოუნი დავსაჯოთ, ყველაფრით ხელს ვუმართავთ—გაზეთის გამოწერითაც და თანამშრომლობითაც. ერთმა მასწავლებელმა მითხრა „ჩერნ. ვესტ.“ უფასოდ მოგვდისო, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის, რადგან პალმი უფასოთ გაზეთს არავის გაუგზავნის.

მაგრამ რაღა პალმი და მისი „ორგანო“, როდესაც სამეგრელოს სამრევლო სკოლებში, რაღაც „მამაო ჩვენოს“ მაინც ქართულად ასწავლიდნენ, ვიღაც კორხანიძემ ამოჰყო თავი თავის „ჟივოე სლოვოთი“ და მასწავლებლებს ბძანებაც მოუვიდათ თურმე—გინდათ თუ არა, ამ სახელმძღვანელოთი ასწავლეთ ბავშვებსაო... ნეტავ ბ-ნ კორხანიძს რა ნაირ სკოლებისთვის შეუდგენია თავისი სახელმძღვანელო, იმათთვის, სადაც ქართულს ასწავლიან თუ არ ასწავლიან? თუ ამგვარ სკოლებისთვისაა შედგენილი ეს წიგნი, სადაც ქართულს ასწავლიან, რა მოხელეა ქართული ასოები რუსულ სახელმძღვანელოში უთავბოლოდ გაბნეულნი და თუ იმგვარ სკოლებისთვისაა შედგენილი, სადაც ქართულს არ ასწავლიან, მით უფრო რა საჭირო იყო ამგვარ წიგნში ქართული ასოები. მაგრამ ეს სახელმძღვანელო იმგვარ სკოლებისთვის უნდა იყოს შედგენილი, სადაც ქართულს სპობენ. მაშასადამე, ეს პედაგოგიური სახელმძღვანელო კი-არა, პოლიტიკური წიგნაკია და ამგვარ წიგნებს სკოლებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რაიცა ფრიად სასურველია ჭეშმარიტების სადღეგრძელოდ. **კ. გვახალია.**

სოფ. კარდანახი (კახეთი). კარდანახში ამ მიმავალ წელიწადს ღვინის მოსავალმა ბევრად იკლო შედარებით წარსულ წელთან, მაგრამ საშუალო მოსავალი მაინც კიდევ იყო. სამაგიეროდ ღვინო უფრო უკეთესი ღირსებისა დადგა, ვიდრე წარსულ წელს. ღვინის გასაღების საქმეს თავიდანვე უბედობა დაჰყვა. შემოდგომა გავიდა და დღევანდლამდე გლეხ-ხალხს ღვინო ისევ გაუყიდავი უდგა ქვევრებში. ამის შემყურე გლეხნი ვერსად ვერ წასულან სამუშაოდ, იმ მოსაზრებით, რომ ან დღეს გაჩნდებიან სირაჯნი ან ხვალაო და ამ მოლოდინში იშრიტებიან უსაქმოდ. ქალაქელი სირაჯნი, რომელნიც წინად კარდანახში ბუზივით ირეოდნენ, წელს არც-კი შემოსულან. თუმცა სიღნაღელი სირაჯნი დაიარებიან ღვინის სასყიდლად, მაგრამ მათი ნავაჭრი წელიწადში არ აღემატება ას საპალნე ღვინოს (საპალნე 32 ფუთია) და ამით რა იალას წავა ექვსას-შვიდასი კომლი. კვლავ ამ დროს გაუყიდავი ღვინო აქ თითქმის აღარც-კი მოიპოვებოდა. მიზეზი სირაჯების შეფერხებისა, უმთავრესად კარდანახელ ღვინის მოვაჭრენი არიან (რომელთაც ტფილისში ღვინის სარდაფები აქვთ). მათ შეუკრავთ პირი, რომ მოიცილონ თავიდან სხვა ქ. სირაჯები, დაინარჩუნონ თავისუფლად ბურთი და მოედანი და იქ ივაჭრონ ღვინო, როგორც თავიანთ სულსა და გულსა სურს. ამ ანგარიშით გაუვრცელებიათ ხმა, ვითომ კარდანახის ღვინოები წელს სულ ჰიალუთ იყოს სავსე და მყრალი სუნისაო. რაც შეეხება ფასს ღვინისას, ათიდან (10) თხუთმეტ თუმნამდე ადისო. ნამდვილად შვიდიდან რვა თუმანს არ აღემატება. აქაური მოვაჭრე-ვაჟბატონები ამით ძლიერ სარგებლობენ და გაჭირვებულ გლეხებისაგან ღვინოს წყლის ფასად ყიდულობენ. მუშის, ტყის და შაბიამან-გოგირდის სიძვირეში თვითონ გლეხს 70 მან. უჯდება საპალნე ღვინო. ნუ დავივიწყებთ, რომ უპირველესი სახსარი კარდანახელ გლეხებისა ვენახებია. თუმცა ღვინოები შემდეგში უმეტეს ფასად გავა, მაგრამ მოვალეების მხრივ დევნა, სახელმწიფო ხარჯების გადახდა, ვენახების შეკეთება აიძულებს მცხოვრებთ რაც შეიძლება ადრე გაასაღონ ღვინო. წლეულ მევენახეებს ასეთი მახე დაუგეს ზემო აღნიშნულმა სირაჯებმა, კვლავ უეჭველია სხვა ხერხს მიჰმართენ, რათა თავიანთ სასარგებლოდ ღვინის ფასი მომატებულად დასცენ. ამისთანა შედეგის ასაცილებლად აქაურ მცხოვრებთ ერთად-ერთი საშუალება-ღა დარჩენიათ,—მოსპონ ერთმანეთში ყოველგვარი ქიშპობა, პირადული სიძულვილი, მისცენ მხარი მხარს, შეერთებულის ძალით გახსნან საზოგადო საწყობი ღვინისა ტფილისში და იქ აძლიონ მთელი ღვინის მოსავალი, მხოლოდ იქიდან შემდეგ გზავნონ სხვა ქალაქებში.

ი. ახმეტაშვილი

დეპეშა

„რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან“

3 დეკემბერი

მადრიდი, 3 დეკემბერი. მეფემ დაამტკიცა ახალი კაბინეტის წევრები: მინისტრი პრეზიდენტი და საზღვაო მინისტრი—აცკარრა, ფინანსთა მინისტრი—კასტელანო, შინაგან საქმეთა—გადილიო, გარეშე საქმეთა—აგვილარ დე კამპო, სახალხო განათლების—ლაზიერგა, იუსტიციისა—უგარტე, მიწათ-მოქმედებისა გარდენასი და სამხედრო ვილლარი.

კოვნა, 3 დეკემბერი. მოხდა დიდი კრება ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებისა. წაიკითხეს მოხსენება იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა მიწათ-მოქმედებმა პირ-და-პირ მიჰყიდონ პური საინტენდანტოს და დაარსებულ იქნას კასსა სოფლის ექიმების უზრუნველ საყოფელად.

რიაზანი, 3 დეკემბერი. საგუბერნიო საერობო კრებამ გადასწყვიტა შეუერთდეს იაროსლავის ერობის შუამდგომლობას იმის შესახებ, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროსთან დაარსებულ იქნას სახელოსნო სამეურნეო სკოლებისათვის საჭირო ნივთების დასამზადებლად.

მოსკოვი. საგუბერნიო გამგეობამ წინადადებით მიმართა ერობას, გადასახადი დაადვას სასოფლო სახაოებს ავადმყოფ ცეცხლის მქრობელთა სასარგებლოდ. უნდა ნება მისცენ ცეცხლის მქრობელთა რაზმებს გახსნან სოფლებში წიგნთ-საცავ-სამკითხველოები და გამართონ ლექციები: პოლიციას უნდა ჩამოართვან უფლება საქმეში გარევისა იმ დროს, როცა ცეცხლის მქრობელ თავისუფალი რაზმები მოქმედებენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 3 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე "	46,30
პარიზისაზე "	37,50
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	423
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	317
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	264
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № [illegible] (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 51 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—7 "
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 "
2. ნაძალადევში, ვლადიკავკასიის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   " საღამ. 5—8 "

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible] ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტე[illegible]ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება
კალენდარი „ცოდნა“
✦ თითო ღირს ორ შაურათ ✦
ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის,
დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი
დაიბეჭდა ფოტოტიპიით ხუთთად ბრისტოლის
მთელს თაბახზე
✦ ღირს ათ შაურათ ✦
ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორი აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „Цодна“.
ხოსიკო მერკვილაძე. (12—4)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთელი ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—7)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა-ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris 101^{14}.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—10)

ქუთაისში

ხაშ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის **პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, [illegible] განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში). მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეი. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—5.—11)



СѢДЕЛЬН, СПЕЦІЯЛЬН

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, სახაზფულო სახბრანის ახლოს. (წ.—176—89)

„წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ. კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შოთა ბაზნასი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 10
ბნელი, მოთხრობა—შელანიასი	— 20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1 50
II და III ტომი თითო	1 —
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	— 80
იოთლის კუნწულა, დ. მაზხანელისა.	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 50
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 30
ალა-მაჰმად ხანის შემოსვლა ტფილისში	— 15
ღვინის დაყენება, პროფეს. ბ. მეტრიაშვილისა	1 60
რძე, მისივე	1 60
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 30
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. [illegible]	1 —

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(10—[illegible].27) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მაგიერად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—53)

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება კალენდრები—ჯიბისა 10 კ. კედლისა 40 კ. ერთბაშად ბევრის მყიდველებს ფას დაკლებით.

ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(50—45). წიგნის მაღაზიის გამგე ხოსიკო მერკვილაძე.

Дозволено цензурою, 4 декабря 1904 г
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა“
Электроп. „Груз. Изд. Т—ва.